ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲨᲘ ᲐᲦᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ XXI ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲐᲛᲘ. ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲝ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 140 (5690)
17 ივლისი, შაბათი.
1976 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ, XXI ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ

გულითადად მოგესალმებით 1976 წლის XXI საზაფხულო ოლიმპიური ასპარეზობის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

ოლიმპიური ასპარეზობა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში. იგი ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანის დიდ ყურადღებას იპყრობს, გამოხატავს კაცობრიობის დაუოკებელ მისწრაფებას მშვიდობისა და პროგრესისადმი. ის ფაქტი, რომ ოლიმპიური დროშების გარშემო შეიკრიბნენ ყველა კონტინენტის სპორტსმენები, ერთხელ კიდევ ადასტურებს ხალხთა სურვილს იცხოვრონ მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და აქტიური თანამშრომლობის ატმოსფეროში.

ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტსა და შრომისმოყვარე კანადელ ხალხს მსოფლიოს სპორტული დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარებისთვის გაწეული მუშაობის გამო.

ფიზიკური კულტურა და სპორტი უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბებაზე; ხელს უწყობს ადამიანის დღეგრძელობას და შემოქმედებითს აქტივობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სსრ კავშირის მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ჩვენს ქვეყანაში სპორტული მოძრაობის განვითარებისთვის, საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დანერგვისთვის.

სსრ კავშირი კვლავინდებურად დაუჭერს მხარს თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას. ახლა საბჭოთა ადამიანები ემზადებიან 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადისთვის და ყველაფერს იღონებენ, რომ მან ჩაიაროს მაღალ დონეზე, ახალი იმპულსი მისცეს მეგობრობისა და მშვიდობის კეთილშობილურ იდეალებს.

სულითა და გულით გისურვებთ მონრეალის XXI საზაფხულო ოლიმპიადის ორგანიზატორებს სპორტული დღესასწაულის წარმატებით ჩატარებას, ასპარეზობის მონაწილეებს კი — ახალ მიღწევებს სპორტში, სწავლასა და შრომაში, პირად ბედნიერებას.

ლ. ბრეჟნევი.

„ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ-80"-ᲘᲡ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲨᲘ

მოსკოვი, 14 ივლისი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 77-ე სესიაში მონაწილეობის მისაღებად და 1976 წლის ოლიმპიადის ორგანიზაციული საკითხების გასაცნობად მონრეალს გაფრინდა „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია ამ კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ნოვიკოვის მეთაურობით.

მონრეალი, 15 ივლისი. აქ ჩამოვიდა „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ი. ნოვიკოვის მეთაურობით, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის მუშაობაში.

ი. ნოვიკოვი სოკ-ის სესიაზე გამოვიდა მოხსენებით საბჭოთა კავშირში მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების თაობაზე, რომელიც მოსკოვში უნდა გაიმართოს 1980 წელს. ი. ნოვიკოვის ცნობას კმაყოფილებით შეხვდნენ სოკ-ის წევრები.

შემდეგ საბჭოთა დელეგაცია გაემართა კანადის დედაქალაქ ოტავაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიაში ფედერალური პარლამენტის შენობასთან. საზეიმო ოლიმპიურ ცერემონიაში მონაწილეობდნენ კანადის პრემიერ-მინისტრი პ. ტრიუდო, ფედერალური მთავრობის წევრები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეები, სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, დიპლომატები, ჟურნალისტები.

ცერემონიას ესწრებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლორდი კილანინი და სოკ-ის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲐ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამ მონრეალში დაამტკიცა მოსკოვის 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ემბლემა.

ემბლემის ძირითადი ელემენტებია ხუთი გადაჯდობილი რგოლი, სტადიონის სპორტული ბილიკები, რომლებიც მოსკოვის არქიტექტურისთვის დამახასიათებელ სილუეტს ქმნიან, და ემბლემის ზედა ნაწილში მოთავსებული ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის სპორტულ ბაზებზე გაიმართება მონრეალის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები. გთავაზობთ კალენდარს:

თბილისის ზღვა. აფროსნობა, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა — საჩვენებელი გამოსვლები, წყალსათხილამურო სპორტი — საქართველოს ჩემპიონატი. დასაწყისი 11 ს.

პარტიზანთა პარკი. შეჯიბრებები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში. დასაწყისი 11 ს.

კუს ტბა. მინი-ფეხბურთი. საქალაქო ტურნირი რაიონების გუნდებს შორის. ქართული ჭიდაობა, მოძრავი და მასობრივი გასართობები. დასაწყისი 11 ს.

გამარჯვების პარკი. ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. დასაწყისი 19 ს.

ორჯონიკიძის სახელობის პარკი. კრივი, ღია რინგი. პირადი შეჯიბრებები. დასაწყისი 19 ს.

„ლოკომოტივის" წყალჯომარდობის ბაზა (მტკვარზე). სანიჩბოსნო სლალომი რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით. დასაწყისი 12 ს.

კიროვის სახელობის პარკი. ხელბურთი. „ბურევესტნიკისა" და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების მატჩი. დასაწყისი 19 ს.

ჩოგბურთის კორტები (მარჯანიშვილის ქუჩაზე). ჩოგბურთი. ოლიმპიური იმედის პირადი ტურნირი. დასაწყისი 10 ს.

ასკ-ს სტენდი. თბილისის პირველობა სასტენდო სროლაში 1956 წელს დაბადებულთა შორის. დასაწყისი 10 ს.

თბილისის რაიონების დოსააფის სასროლეთები. ტყვიის სროლა — მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება. დასაწყისი 10 ს.

ამას გარდა, ქალაქის პიონერთა ბანაკებში გაიმართება სპარტაკიადები, შეჯიბრებები მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, საჩვენებელი გამოსვლები. კიკეთში, შავნაბადაზე, კრწანისში, ბოტანიკურ ბაღში, კოჯორში ჩატარდება დედაქალაქის რაიონების ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა ტურისტული ლაშქრობანი, სპორტული თამაშები, ღონისძიებანი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

ს უ რ ა თ ზ ე: ოლიმპიაში (საბერძნეთი) ლინზიდან არეკლილი მზის სხივების მეშვეობით ოლიმპიური ჩირაღდნის ანთების ტრადიციული ცერემონიალი. როგორც ეს უკანასკნელ ოლიმპიადებში მოხდა, ჩირაღდანს ანთებს ბერძნული ტრაგედიების ცნობილი მსახიობი მარია მასკოლიუ.



ᲬᲘᲜᲐᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ

მონრეალი, 15 ივლისი. (საკდესის კორ.). „კანადის თავზე ცა ლურჯია"... ამტკიცებს პოპულარული სიმღერა. სამწუხაროდ, დღეს ამ სიტყვების სისწორეში ეჭვი გვეპარება. რუხი ღრუბლები, წვიმა, ცივი ქარი — ასეთი ხვდება მონრეალი ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს, მაგრამ მასპინძლებს იმედი აქვთ, რომ გამოიდარებს და ამინდი ოლიმპიადის — ახალგაზრდობისა და სპორტის ამ ნამდვილი დღესასწაულის შესაფერი იქნება.

მონრეალის ოლიმპიადა რიგით 21-ეა. თანამედროვე თამაშები სათავეს იღებს 1896 წლის 5 აპრილიდან, როცა ენთუზიასტთა ჯგუფმა პიერ დე კუბერტენის მეთაურობით აღორძინა ეს დიდი ასპარეზობა. თამაშები ათენში ჩატარდა. მაშინ სარბიელზე გამოვიდა 13 ქვეყნის 285 სპორტსმენი. ოლიმპიური მოძრაობის მასშტაბებზე დღეს სხვა ციფრები მეტყველებს — კანადაში ასპარეზობის სურვილი 132 ქვეყნის 11 ათასმა სპორტსმენმა გამოთქვა.

დღეს, 15 ივლისს, ათენში ოლიმპიური ალი ელექტრომაგნიტურ იმპულსებად იქცევა. რადიოტექნიკური დანადგარების დახმარებით ეს იმპულსები დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე გადაიცემა. იქ, იმ უზარმაზარ სიმაღლეზე, ჩაირთვება ლაზერი და მისი სხივი კანადის ტერიტორიაზე ოლიმპიურ ცეცხლს აანთებს.

თამაშების ისტორიაში ახლა ყველაზე მიუკერძოებელი იყო არჩევა იმ სპორტსმენებისა, რომელთაც ოლიმპიური ჩირაღდანი უნდა გაატარონ მარშრუტით ოტავა — მონრეალი — კინგსტონი. საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა პოლ ლარიუმ, რომელსაც ევალება „ცეცხლოვანი მარშრუტის" საკითხის მოგვარება, ჟურნალისტებს უამბო: „ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ცეცხლოვანი ესტაფეტის" მონაწილეებს ელექტროგამომთვლელი მანქანა ასახელებს. მანქანამ, რომელსაც „ახსოვს" საპატიო ესტაფეტაში მონაწილეობის მსურველი ათასობით კანადელი ვოლონტიორი, უკვე მოგვაწოდა პირველი მონაცემები. მოხალისეებისადმი ძირითადი მოთხოვნები მარტივი იყო: კანდიდატები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ჭაბუკები და ქალიშვილები არანაკლებ 15 წლის ასაკისა. გარდა ამისა, ისინი კარგი სპორტსმენებიც უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი პირობის თანახმად, მათ კილომეტრიანი დისტანცია 5 წუთში მაინც უნდა დაეფარათ. „ცეცხლოვანი მარშრუტის" სტარტზე ელექტრული მანქანა 500 სპორტსმენ ქალსა და ვაჟს გამოიყვანს.

ელექტროგამომთვლელი მანქანა ამ თამაშებში წვლილს შეიტანს სპორტსმენებისთვის სწორი და კალორიული დიეტების შედგენაშიც.

წინაოლიმპიური მონრეალი... სასადაც უნდა იყოთ ამ დღეებში, ყველგან იგრძნობა კანადელთა უდიდესი სურვილი, რომ სპორტსმენებმაც და მრავალრიცხოვანმა სტუმრებმაც აქ თავი კარგად იგრძნონ. XXI ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის ქუჩებში უკვე შეხვდებით სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს. საკდესის კორესპონდენტები შეხვდნენ გდრ-ის სპორტსმენთა ერთ-ერთ ჯგუფს. მძლეოსანი გოგონები ოლიმპიურ სოფელში საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ ქალაქში სასეირნოდ იყვნენ გამოსული:

— სხვა დროს ალბათ ვერც ვიპოვით, — ღიმილით თქვეს მათ, — მალე შეჯიბრება დაიწყება და არ

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲬᲘᲜᲐᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ

დასასრული

გვინდა თავი შევირცხვინოთ. ჩვენ ვნახეთ, როგორ ვარჯიშობენ საბჭოთა სპორტსმენები. მათი მეცადინეობა ნამდვილად შთამბეჭდავია. საბჭოთა ოლიმპიელთა შორის ბევრი მეგობარი გვყავს. გულწრფელად ვუსურვებთ მათ დიდ წარმატებას.

მაგრამ დღეს მონრეალის ქუჩებში ყველაზე მეტ ყურადღებას ალისფერ კოსტიუმებში გამოწყობილი ქალიშვილები იქცევენ. ისინი ნამდვილი მონრეალის დიასახლისები არიან. მათს სიტყვას დღეს შუქნიშნებიც კი ემორჩილებიან — საკმარისია ერთი ხელი აიქნიონ, რომ გზატკეცილზე მომავალი მანქანების ნიაღვარი მყისვე ერთ ადგილზე გაიყინება და გზას მისცემს სპორტსმენებს. ეს გოგონები ოლიმპიადის განსაკუთრებული სამსახურის წარმომადგენლები არიან, რომელთაც დავალებული აქვთ დაეხმარონ ქალაქის ყველა სტუმარს. ამ გოგონებს შეხვდებით ყველგან — ყველა ქუჩაზე, ყველა სასტუმროსთან, ზოგი მოტოციკლით მოდის, ზოგი — ფეხით, ზოგმა რუსული იცის, ზოგმა გერმანული, ესპანური და სხვა ენები, მაგრამ ყველა ერთნაირად თავაზიანი და ალერსიანია.

თვალში გვეცემათ კიდევ ერთი გარემოება: სპორტსმენთა ყველა მანქანას ვინმე სამხედროც ახლავს. სასტუმროთა სადარბაზო შესასვლელები ჰგავს შტაბს საბრძოლო ოპერაციის წინ. ყოველ შემსვლელს ეშმაკი მანქანის ელექტრომზერა ამოწმებს. ამით პოლიციელი, მაგალითად, ხვდება უდევს თუ არა შემსვლელს ჯიბეში იარაღი. ყოველ სართულზე ასეთივე მკაცრი კონტროლია დაწესებული. კანადის მესვეურებმა ადგილობრივ გაზეთებში ეს ასე განმარტეს: „ვინაიდან სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფებანი ისევ გამოდიან პროვოკაციული განცხადებებით, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თამაშების პერიოდში არც ერთი საგანგებო შემთხვევა არ მოხდეს. ამ მიზნით ჩვენ მთელი რიგი ღონისძიებები განვახორციელეთ და იმედი გვაქვს, რომ შეჯიბრების პერიოდში არაფერი გამოგვეპარება“.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ სწორედ ასე იქნება. ხოლო სასტუმროების, ოლიმპიური სოფლისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების უჩვეულო შესახედაობას, რა თქმა უნდა, შეიძლება მივეჩვიოთ, მით უმეტეს, რომ ყველა, ვისაც კი სპორტსმენთა უსაფრთხოების საკითხის მოგვარება აქვს დავალებული, განსაკუთრებით თავაზიანია.

მაშ ასე, საზაფხულო ოლიმპიადისთვის პრაქტიკულად ყველაფერი მზადაა, მაგრამ პოლიტიკური ატმოსფერო ამ ასპარეზობის ირგვლივ მაინც დაძაბული რჩება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე საბოლოოდ გადაწყდება წლევანდელ ოლიმპიადაში ტაივანის სპორტული დელეგაციის მონაწილეობის საკითხი.

ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ

ისინი წარმოთქვამდნენ ოლიმპიურ ფიცს, ისინი ანთებდნენ ოლიმპიურ ცეცხლს და მათი სახელები სწორედ იმ მომენტიდან ხდებოდა ცნობილი მთელი მსოფლიოსთვის. სწორედ მათ ხვდათ ესოდენ დიდი პატივი, მათ მიანდეს მთავარი როლები ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალში.

ეს უმთავრესად ის სპორტსმენები არიან, რომელთა სამშობლოშიც ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა, და, ბუნებრივია, ყოველ ოლიმპიურ ასპარეზობაში სულ ახალ და ახალ სახელებს ვხვდებით. ზოგიერთი მათგანი დღესაც ცნობილია, მაგრამ უმრავლესობას ჩრდილი მოეფინა და დავიწყებასაც კი მიეცა. გავიხსენოთ ეს სპორტსმენები.

სურათზე: ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიურ ფიცს წარმოთქვამს ტ. ონო.

ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲤᲘᲪᲘ ᲓᲐᲓᲔᲡ

„ყველა სპორტსმენის სახელით ფიცს ვდებ, რომ თამაშებში მონაწილეობისას პატივს ვცემთ და განუხრელად დავიცავთ ოლიმპიადის წესებს, ვიასპარეზებთ ჭეშმარიტად სპორტული სულისკვეთებით, სპორტის სადიდებლად, ჩვენი გუნდების ღირსების დასაცავად“ —

ეს სიტყვები პირველად გაისმა არა ათენში, სადაც 1896 წელს აღორძინდა თანამედროვე ოლიმპიური თამაშები, არამედ 1920 წელს ანტვერპენში, VII ოლიმპიურ თამაშებზე. ფიცი წარმოთქვა ბელგიელმა მოფარიკავემ ვიქტორ ბუენმა.

● ●

მას შემდეგ სწორედ ამ ფიცით იწყება ყველა ოლიმპიადა.

1924 წელს ფიცის წარმოთქმა დაეკისრა ფრანგ მძლეოსანს ჟორჟ ანდრეს. ოთხი წლის შემდეგ ყველა მონაწილის სახელით ფიცი დადო ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ჰარი დენისმა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც გახსნის ცერემონიალზე ყველა სპორტსმენის სახელით გამოსვლა ფეხბურთელს დაეკისრა.

● ●

1932 წელს ლოს-ანჯელესში ფიცი დადო მოფარიკავე ჯორჯ კალნენმა, 1936 წელს ბერლინში — ძალოსანმა რუდოლფ ისმაირმა, 1948 წელს ლონდონში — მძლეოსანმა დევიდ ფინლეიმ, 1952 წელს ჰელსინკში — მძლეოსანმა ჰეიკი სავოლაინენმა, ხოლო 1956 წელს მელბურნში — ასევე მძლეოსანმა ჯონ ლენდიმ.

1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე ფიცის წარმოთქმის საპატიო მისია დაეკისრა ცნობილ ბადროს მტყორცნელს ადოლფო კონსოლინის, ხოლო 1964 წელს ტოკიოში — არანაკლებ სახელმოხვეჭილ ტანმოვარჯიშეს ტაკასი ონოს. ბოლო, მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე, ფიცი დასდო მძლეოსანმა ქალმა ჰაიდე შიულერმა. ეს პირველი შემთხვევა იყო საზაფხულო ოლიმპიადების ისტორიაში.

რა თქმა უნდა, ფიცის გარეშე არც ზამთრის ოლიმპიური თამაშები იწყება. პირველი სპორტსმენი, რომელმაც ფიცის დადებისას ყველას მაგივრად ზეაღმართა ხელი, გახლდათ მოთხილამურე კამილ მანდრიონი. ეს მოხდა 1924 წელს შამონიში. მომდევნო ოლიმპიადებში ფიცი წარმოთქვეს: 1928 წელს სენტ-მორიცში — მოთხილამურე ჰანს აიდენბენცმა, 1932 წელს ლეიკ-პლესიდში — მოციგურავე ჯონ სეამ, 1936 წელს გარმიშ-პარტენკირჰენში — ორჭიდელმა ვილი ბოგნერმა.

(დასასრული მე-8 გვ.).

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

ლ. ლატინინა

რ. იური

მ. სპიტცი

ოლიმპიური მედალი...

რომელი სპორტსმენი არ ოცნებობს ამ ჯილდოზე?

1896 წლიდან თანამედროვეობის I ოლიმპიური თამაშებიდან, ათასობით მედალმა დაუმშვენა მკერდი დედამიწის ხუთივე კონტინენტის ღირსეულთა შორის ღირსეულ სპორტსმენებს. არც ერთი ხარისხის მედალს დღემდე არ დაუკარგავს ფასი, მნიშვნელობა და მუდამ იქნება სამოყვარულო სპორტის უმაღლესი წარმატების სიმბოლო.

ჩვენ შევეცადეთ შეგვედგინა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერილ, კერპად აღიარებულ სპორტსმენთა სია მათ მიერ მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების რაოდენობის მიხედვით

მართალია, ყველამ იცის, რომ სპორტსმენებს თავიანთი კარიერის მანძილზე საშუალება აქვთ ზოგიერთ სახეობაში, მაგალითად, სპორტულ ტანვარჯიშში, ფარიკაობაში, სროლაში ბევრად მეტი მედალი მოიპოვონ, ვიდრე, დავუშვათ მძლეოსნობაში ან ცურვაში (ამ მხრივ მხოლოდ პაავო ნურმი, რეი იური და მარკ სპიტცი შეადგენენ გამონაკლისს), მაგრამ ეს სია მაინც საინტერესოა. გავიხსენებთ იმ ბრწყინვალე სპორტსმენებს, რომელთა სახელებიც წარუშლელია ოლიმპიური, და საერთოდ, მსოფლიო სპორტის ისტორიაში.

გაიხსენეთ ისინი ჩვენთან ერთად!

	სპორტსმენი	ქვეყანა	ოლიმპიური თამაშების წლები	სახეობა	მედლები ოქ. ვერ. ბრ.
1.	ლარისა ლატინინა	სსრ კავშირი	1956—60—64	სპორტული ტანვარჯიში	9 — 5 — 4
2.	პაავო ნურმი	ფინეთი	1920—24—28	მძლეოსნობა	9 — 3 — 0
3.	მარკ სპიტცი	აშშ	1968—72	ცურვა	9 — 1 — 1
4.	რეი იური	აშშ	1900—04—08	მძლეოსნობა	8 — 0 — 0
5.	ბორის შახლინი	სსრ კავშირი	1956—60—64	სპორტული ტანვარჯიში	7 — 4 — 2
6.	ვერა ჩასლავსკა	ჩეხოსლ.	1960—64—68	სპორტული ტანვარჯიში	7 — 4 — 0
7.	ვიქტორ ჩუკარინი	სსრ კავშირი	1952—56	სპორტული ტანვარჯიში	7 — 3 — 1
8.	ალადარ გერევიჩი	უნგრეთი	1932—36—48—52—56—60	ფარიკაობა	7 — 1 — 1
9.	ედოარდო მანჯიაროტი	იტალია	1936—48—52—56—60	ფარიკაობა	6 — 5 — 2
10.	ჰანს ვან ინისი	ბელგია	1900—20	მშვილდოსნობა	6 — 3 — 0
11.	აკინორი ნაკაიამა	იაპონია	1968—72	სპორტული ტანვარჯიში	6 — 2 — 2
12.	სავაო კატო	იაპონია	1968—72	სპორტული ტანვარჯიში	6 — 2 — 1
13.	გერტ ფრედრიკსონი	შვეცია	1948—52—56—60	ნიჩბოსნობა	6 — 1 — 1
14.	პალ კოვაჩი	უნგრეთი	1936—48—52—56—60	ფარიკაობა	6 — 0 — 1
15.	ნედო ნადი	იტალია	1912—20	ფარიკაობა	6 — 0 — 0
16.	რუდოლფ კარპატი	უნგრეთი	1948—52—56—60	ფარიკაობა	6 — 0 — 0
17.	ტაკასი ონო	იაპონია	1952—56—60—64	სპორტული ტანვარჯიში	5 — 4 — 4
18.	აგნეშ კელეტი	უნგრეთი	1948—52—56	სპორტული ტანვარჯიში	5 — 4 — 2
19.	ვილე რიტოლა	ფინეთი	1924—28	მძლეოსნობა	5 — 3 — 0
20.	პოლინა ასტახოვა	სსრ კავშირი	1956—60—64	სპორტული ტანვარჯიში	5 — 2 — 3
21.	იუკიო ენდო	იაპონია	1960—64—68	სპორტული ტანვარჯიში	5 — 2 — 0
22.	უილის ლი	აშშ	1920	სროლა	5 — 1 — 1
23.	ანტონ ჰეიდა	აშშ	1904	სპორტული ტანვარჯიში	5 — 1 — 0
24.	დონალდ შოლანდერი	აშშ	1964—68	ცურვა	5 — 1 — 0
25.	ოლე ოლსენი	ნორვეგია	1920—24	სროლა	5 — 1 — 0
26.	ჯონ ვაისმიულერი	აშშ	1924—28	ცურვა	5 — 0 — 1
27.	ალფრედ ლეინი	აშშ	1912—20	სროლა	5 — 0 — 1
28.	მორის ფიშერი	აშშ	1920—24	სროლა	5 — 0 — 0
29.	დაუნ ფრეზერი	ავსტრალია	1956—60—64	ცურვა	4 — 4 — 0
30.	ჟულიო გაუდინი	იტალია	1920—24—28—32—36	ფარიკაობა	4 — 4 — 2
31.	ჟორჟ მიესი	შვეიცარია	1924—28—32—36	სპორტული ტანვარჯიში	4 — 3 — 1
32.	კარლ ოსბორნი	აშშ	1912—20—24	სროლა	4 — 3 — 0
33.	ეინარ ლიბერგი	ნორვეგია	1908—12—20—24	სროლა	4 — 2 — 1
34.	როლანდ მათესი	გდრ	1968—72	ცურვა	4 — 2 — 1
35.	კრისტიან დ'ორიოლა	საფრანგეთი	1948—52—56	ფარიკაობა	4 — 2 — 0
36.	ლუსიენ გოდენი	საფრანგეთი	1920—24—28	ფარიკაობა	4 — 2 — 0
37.	ჯუზეპე დელფინო	იტალია	1952—56—60—64	ფარიკაობა	4 — 2 — 0
38.	ოსკარ სვანი	შვეცია	1908—12—20	სროლა	4 — 1 — 3
39.	მიურეი როუზი	ავსტრალია	1956—60	ცურვა	4 — 1 — 1
40.	ჩარლზ დანიელსი	აშშ	1904—08	ცურვა	4 — 1 — 1
41.	ემილ ზატოპეკი	ჩეხოსლ.	1948—52	მძლეოსნობა	4 — 1 — 0
42.	ჰანეს კოლემაინენი	ფინეთი	1912—20	მძლეოსნობა	4 — 1 — 0
43.	მელვინ შეპარდი	აშშ	1908—12	მძლეოსნობა	4 — 1 — 0
44.	რამონ ფონსტი	კუბა	1900—04	ფარიკაობა	4 — 1 — 0
45.	შარლ პაგუდ დე მორტანჟი	ჰოლანდია	1924—28—32	ცხენოსნობა	4 — 1 — 0
46.	ვალენტინ მურატოვი	სსრ კავშირი	1952—56	სპორტული ტანვარჯიში	4 — 1 — 0
47.	ჯესი ოუენსი	აშშ	1936	მძლეოსნობა	4 — 0 — 0
48.	ალფრედ ორტერი	აშშ	1956—60—64—68	მძლეოსნობა	4 — 0 — 0
49.	ჯორჯ ლაიტბოდი	აშშ	1904	მძლეოსნობა	4 — 0 — 0
50.	ფრანსინა ბლანკერს-კოენი	ჰოლანდია	1948	მძლეოსნობა	4 — 0 — 0
51.	ელვინ კრენცლეინი	აშშ	1900	მძლეოსნობა	4 — 0 — 0
52.	პატრიცია მაკ-კორმიკი	აშშ	1952—56	წყალში ხტომა	4 — 0 — 0
53.	ჰენრი სან-სირი	შვეცია	1952—56	ცხენოსნობა	4 — 0 — 0
54.	ჰარისონ დილარდი	აშშ	1948—52	მძლეოსნობა	4 — 0 — 0

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

ბერლინი, 14 ივლისი. „ძნელად, რომ მონრეალში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალთა შორის შეძლოს 70-მეტრიანი ზღვარის გადალახვა შუბის ტყორცნაში, — განაცხადა მსოფლიო რეკორდსმენმა, გდრ-ის მძლეოსან ქალთა გუნდის კაპიტანმა რუთ ფუქსმა. — ოლიმპიური სტადიონი ნაწილობრივ გადახურულია. ეს შეაჩერებს ჰაერის ქროლვას და ამიტომ გამარჯვებას მოიტანს ტყორცნა 65-68 მეტრზე“.

საერთოდ კი, 70-მეტრიანი შედეგი, რ. ფუქსის აზრით, სავსებით რეალურია. მას უკვე ოთხჯერ აქვს შეტანილი ცვლილებები მსოფლიო რეკორდების ცხრილში, უკანასკნელად კი შუბი 69 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე ტყორცნა. „მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მე პირველი დავიპყრობ სასურველ ზღვარს. იქნებ ეს შეძლოს ამერიკელმა კეტი შმიდტმა, რომელმაც ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შედეგები“, — თქვა რ. ფუქსმა.

დიდებისთვის რჩეულნი

დასასრული

ომის შემდგომ პირველ ოლიმპიადაში 1948 წელს სენტ-მორიცში ფიცი წარმოთქვა შვეიცარიელმა ჰოკეისტმა ბიბი ტორიანმა, 1952 წელს ოსლოში — ტრამპლინიდან მხტომელმა ბიორნ ფალკანგერმა, 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში — სამთომოთხილამურემ, ჯულიანა მინუცომ (ქალთაგან პირველმა), ხოლო სკვო-ველიში — მოციგურავე ქალმა კეროლ ჰეისმა. მომდევნო ოთხ ოლიმპიადაში ფიცი დადეს: 1964 წელს — ავსტრიელმა პოლ ასტემ, 1968 წელს — ფრანგმა ლეო ლაკრუამ, 1972 წელს — იაპონელმა კეიძო სუძუკიმ და 1976 წელს — ავსტრიელმა ვერნერ დელე-კარტმა.

ისინი, რომელთაც ოლიმპიური ცეცხლი დაანთეს

თუ ოლიმპიური ფიცის დადებას არც ისე დიდი ხნის ტრადიცია აქვს, ოლიმპიური ცეცხლის დანთების ისტორია უფრო ხანმოკლეა.

... საქონელი, რომელიც ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) შემოგარენში მდებარე მდელოზე ძოვდა ბალახს, წლების განმავლობაში სვამდა წყალს რაღაც მომრგვალებული ფორმის ჭურჭლიდან (დიამეტრი — 3,60 მეტრი). ამას წინათ გამოირკვა, რომ ეს ის თასია, რომელშიც 1936 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი ენთო. რელიქვიის ამგვარმა წაბილწვამ აღაშფოთა ქალაქის მესვეურები და ახლა ამბობენ, თასი მისთვის შესაფერის საპატიო ადგილს დაიკავებსო. მაშინ, 1936 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის, ცეცხლი ოლიმპოს მთიდან კი არ ჩამოუტანიათ, არამედ ადგილობრივ, საგანგებოდ მოწყობილ 30 მეტრი სიმაღლის ლითონის კონსტრუქციებზე გაკეთებულ პატარა მოედნის თავზე დაანთო ვიღაც უცნობმა.

მაგრამ იმავე წელს, 20 ივლისს, შუადღისას, ოლიმპიის ძველი სტადიონის ნანგრევებზე პირველად ჩატარდა უჩვეულო ცერემონიალი: ანტიკური ქურუმის სამოსში გამოწყობილმა ბერძენმა ქალმა ლინზიდან არეკლილი მზის სხივებით აანთო ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელიც გადაეცა 24 წლის სასტუმროს მოსამსახურეს კონსტანტინე რონდილისს — პირველი ოლიმპიური ესტაფეტის მონაწილე პირველ მორბენალს. ესტაფეტის საბოლოო პუნქტი გახლდათ ბერლინი — 1936 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი.

გასაკვირი არ არის, რომ ესტაფეტის მონაწილეებს ნაცისტური გერმანიისადმი პროტესტის ნიშნად ყველგან გულცივად ხვდებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ჩეხოსლოვაკია, სადაც იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამო, ესტაფეტას თითქმის ყველგან ზიზღით ან მოჩვენებითი თავშეკავებით ეგებებოდნენ. პრაღაში ხალხი ლაყე კვერცხებს ესროდა ესტაფეტის მონაწილეებს და ყოველნაირად აბრკოლებდა მათს წინსვლას. საერთოდ, მაშინ ბევრი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი აცხადებდა პროტესტს ფაშისტურ გერმანიაში ოლიმპიური თამაშების ჩატარების წინააღმდეგ.

მაგრამ არც ომისშემდგომი პირველი თამაშების (1948 წელი) პროლოგი იყო მშვიდობიანი. საქმე ისაა, რომ იმ დროს ოლიმპიის ტერიტორია საბერძნეთის სახალხო არმიის კონტროლის ქვეშ იყო. ამიტომ მდინარე ალფეაში შესულმა დიდი ბრიტანეთის ფლოტილიამ სროლა აუტეხა ოლიმპოს გორაკებს, სადაც, სხვათა შორის, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის უკანასკნელი სურვილის მიხედვით დამარხული იყო მისი გული. ძნელი წარმოსადგენია განსვენებული ფრანგი ბარონის მშვიდობიანი ოლიმპიური იდეალების უფრო მეტი შელახვა! შემდეგ ინგლისელთა ტანკებმა დაიკავეს ოლიმპო, აანთეს ჩირაღდანი და სამხედრო ესკორტის თანხლებით დაეშვნენ ჯერ გემებისკენ, მერე კი ლონდონისკენ...

1948 წელს ლონდონის ოლიმპიურ სტადიონზე ჩირაღდნის შემოტანა და ცეცხლის ანთება თავდაპირველად დაეკისრა შესანიშნავ მორბენალს, ტანმორჩილ სიდნეი ვუდერსონს. მაგრამ, საორგანიზაციო კომიტეტმა ბოლო მომენტში გადაიფიქრა, შეცვალა გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ ოლიმპიური ცეცხლის დანთების საპატიო მისია პირველ ყოვლისა ეროვნული ღირსების საქმეა და იგი უნდა შეასრულოს ბრიტანული რასის ყოველმხრივ შემკობილმა წარმომადგენელმაო. ამრიგად, ლონდონში ცეცხლი აანთო კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტმა სპორტული სამყაროსთვის სრულიად უცნობმა ბრგე (სიმაღლით 191 სანტიმეტრი იყო), ქერათმიანმა ჯონ მარკმა.

ეს ტრადიცია დღემდე დაცულია და, თუ ოლიმპიურ ფიცს ცნობილი სპორტსმენები დებენ, ესტაფეტის ბოლო ეტაპზე ძირითადად სპორტული სამყაროსთვის უცნობი, უტიტულო ახალგაზრდები გამოდიან. ამიტომ არცაა გასაკვირი, თუ ამ ახალგაზრდების სახელები უმეტეს შემთხვევაში ბევრს ვერაფერს გვეუბნება:

იტალიელი ჯოვანი პარისი — რომი, 1960 წ.

იაპონელი იოსინორი საკაი — ტოკიო, 1964 წ.

მექსიკელი ნორმა ენრიკეტა ბასილიო (პირველი ქალი!) — მეხიკო, 1968 წ.

1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ჩირაღდანი შემოიტანა 18 წლის ობერცელელმა გიუნტერ ცაჰნმა დედამიწის დანარჩენი ოთხი კონტინენტის სახელგანთქმული სპორტსმენების — კიპჩოგე კეინოს (აფრიკა), ჯიმ რაიანის (ამერიკა), დერეკ კლეიტონის (ავსტრალია) და ტომიო კიმიჰარას (აზია) თანხლებით.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ორი მაგალითი, რომლებიც ცოტა არ იყოს ჩრდილს აყენებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ლეგენდარულ ფინელ მორბენალს პაავო ნურმის, რომელმაც ომამდელ ოლიმპიურ თამაშებში 9 ოქროს მედალი მოიპოვა, უფრო გვიან პროფესიონალიზმი დასდეს ბრალად და დისკვალიფიკაცია მისცეს. ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში ალბათ ერთგვარი ბოდიშის მოხდის მიზნით და ადრინდელი საქციელის გასაბათილებლად ოლიმპიურმა კომიტეტმა ნურმის ოლიმპიური ცეცხლის ანთება შესთავაზა. შესანიშნავმა სპორტსმენმა მიიღო ეს წინადადება, თუმცა წყენა მაინც ვერ დამალა: შელახული პატივმოყვარეობის აღდგენა არც ოლიმპიურ ჩირაღდანს შეუძლია, არც ჩემს მიერ მოხვეჭილ მედლებსო.

დაახლოებით ასეთივე ამბავი მოხდა წლევანდელ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, როდესაც ოლიმპიური ცეცხლის დანთება მიენდო ოთხი წლის წინათ საპოროში ასეთივე საეჭვო მიზეზით (თუმცა, ბევრად უფრო მკაცრ ფორმებში) დისკვალიფიცირებულ, წარსულში ცნობილ ინსბრუკელ სამთომოთხილამურეს კარლ შრანცს. მან პირდაპირ განაცხადა უარი: ჩემს ოლიმპიურ იდეალებს საპოროში გამოვეთხოვეო.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი ყოველთვის ახლებურია, მრავალფეროვანი და ამიტომ მაყურებლებისთვისაც უფრო დასამახსოვრებელი, სკვო-ველიში, სადაც ცერემონიალს თვით უოლტ დისნეი თავკაცობდა, ოლიმპიური ცეცხლი პეპუზ პიკის მწვერვალიდან ჩამოიტანა და შემდეგ სტადიონზე აანთო მოთხილამურე ქალმა კეტრინ ლორენსმა; 1964 წელს ინსბრუკში ეს მისია შეასრულა მსოფლიო ჩემპიონმა ალპურ სამჭიდში იოახიმ რიდელმა, 1972 წელს საპოროში — 16 წლის სტუდენტმა ჰიდეკი ტოკადამ. წლეულს ინსბრუკში ორ მოოქროულ თასში აგიზგიზდა ოლიმპიური ცეცხლი: პირველი — 1976 წლის ოლიმპიური თამაშებისა — აანთო 12 წლის წინათ ინსბრუკში გამართული ოლიმპიადის ჩემპიონმა ბობსლეისტმა იოზეფ ფაისტმანტელმა, ხოლო მეორე — ინსბრუკის 1964 წლის ოლიმპიური თამაშების პატივსაცემად — იმავე ოლიმპიადაში გამარჯვებულმა მოთხილამურე ქალმა კრისტინ ჰაასმა.

ოლიმპიური ცეცხლის დანთების ზემოხსენებული ორმაგი ცერემონიალი ინსბრუკში ზამთრის თამაშების ისტორიაში პირველად განხორციელდა. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ოდნავ განსხვავებული რიტუალი ჯერ კიდევ 1952 წელს მოეწყო ჰელსინკში. ოლიმპიური ცეცხლი სტადიონის მთავარი ტრიბუნის წინ დადგმულ თასში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აანთო პაავო ნურმიმ. მაგრამ ამით ცერემონიალი არ დამთავრებულა. შემდეგ ნურმიმ ჩირაღდანი გადასცა წარსულში ასევე ცნობილ ფინელ მძლეოსანს ჰანეს კოლეჰმაინენს, რომელმაც მეორე ცეცხლი ააგიზგიზა ოლიმპიურ კოშკზე. სხვათა შორის, ამ კოშკის სიმაღლე ფინელებმა განსაზღვრეს თავიანთი თანამემამულის, ამსტერდამის ოლიმპიური თამაშების (1932 წ.) ჩემპიონის, შუბის მტყორცნელ მატი იარვინენის მიერ ნაჩვენები შედეგის მიხედვით — 72 მ და 71 სმ...

* * *

მრავალფეროვანია ოლიმპიური თამაშების ისტორია, უხვია მაღალი სპორტული მიღწევებით, დრამებით, მდიდარია ათასობით მონაწილის საინტერესო ბედით. ჯერ მარტო იმ სპორტსმენთა სპორტული ცხოვრების ასახვა რად ღირს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიური თამაშების ერთი შეხედვით ყველაზე პატარა მონაკვეთში — საზეიმო ფიცის დადებასა და ჩირაღდნის ანთებაში. დღეს მათ ახალი სახელები დაემატება. ოლიმპოში უკვე დანთებული ჩირაღდანი, პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, ათენიდან „წაიღო" არა ესტაფეტამ, არამედ ტელეკომუნიკაციურმა თანამგზავრმა. მხოლოდ მონრეალში გამოჩნდება ტრადიციული ესტაფეტა. ამბობენ, ასეთი სიახლე სხვადასხვა ეკონომიურმა მოსაზრებამ განაპირობაო. შეიძლება ასეცაა, მაგრამ განა უკეთესი არ იქნება ამ ფაქტში დავინახოთ კაცობრიობის განვითარების ახალი გზები, კაცობრიობის მუდმივი წინსვლა, წინსვლა, რომელმაც სპორტშიც ჰპოვა გამოხატულება?

ოლიმპიადა— „თავისუფალი ევროპის" გარეშე

პრაღა, 14 ივლისი. (საკდესი). მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე წამქეზებელ რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპის" თანამშრომელთა აკრედიტების წინააღმდეგ გამოვიდა პრაღის გაზეთი „ჩესკოსლოვენსკი სპორტი".

ამ ჯაშუშური ცენტრის მოღვაწეობის ხასიათი უკვე საკმაოდ კარგადაა ცნობილი. წლეულს ახალი მონაცემებია მიღებული ჩეხოსლოვაკიელი მზვერავის კაპიტან მინარჟიკისგან, რომელმაც ცნობები გამოაქვეყნა ამ სადგურის „მუშაობის" თაობაზე სპორტის დარგში.

სტატიაში აღნიშნულია, რომ „თავისუფალი ევროპის" რადიოსადგურის კორესპონდენტები ხშირად ბოროტად სარგებლობდნენ ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენებთან საუბრებით სხვადასხვა შეჯიბრების დროს და მიღებულ ინფორმაციას ამ სოციალისტურ რესპუბლიკაზე ცილისწამების მიზნით იყენებდნენ.

— ჩვენ ვუერთდებით სოციალისტური ქვეყნების ყველა დელეგაციის მოთხოვნას, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამჯერადაც ისევე გადაჭრით და ერთსულოვნად იმოქმედოს, როგორც ინსბრუკში იყო. მაშინ მან გააუქმა „თავისუფალი ევროპის" ეგრეთ წოდებულ ჟურნალისტთა „აკრედიტაცია" და ჩამოართვა მათ მშვიდობისა და მეგობრობის ისეთ შესანიშნავ ზეიმში მონაწილეობის უფლება, როგორიც ოლიმპიური თამაშებია, — წერს დასასრულ „ჩესკოსლოვენსკი სპორტი".

ასეთია ოლიმპიური მედლები

ოლიმპიური ოქროს მედალი დამზადებულია ვერცხლისგან და დაფერილია ექვსი გრამი ოქროთი. II ადგილებისთვის გაიცემა ვერცხლის, III ადგილებისთვის — ბრინჯაოს მედლები. მათი დიამეტრია არანაკლებ 60 მილიმეტრისა, სისქე — 3 მილიმეტრი. მედლის ზედა მხარეზე აღბეჭდილია ნახატი — ძმობის, გამარჯვებისა და მეგობრობის სიმბოლო, რომელიც ტრადიციადაა ქცეული ამსტერდამის 1928 წლის თამაშების შემდეგ. ამავე მხარეზე წარწერაა: „XXI ოლიმპიადა, მონრეალი, 1976". უკანა მხარეზე გამოსახულია ზეთისხილის რტო მონრეალის თამაშების ემბლემით. აქვე აღნიშნულია ის სახეობა, რომელშიც დაჯილდოებულმა სპორტსმენმა წარმატებას მიაღწია.

გუნდურ შეჯიბრებათა უმეტესობაში შესაბამისი ხარისხის მედლები გადაეცემა საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების ყველა სპორტსმენს. იმ შეჯიბრებებში, რომლებსაც ოლიმპიური ქარტიის მიხედვით „ხელოვნური" გუნდური ხასიათი აქვს (აქ კოლექტივების ადგილები ათლეტთა პირადი ადგილების მიხედვით ნაწილდება), გუნდს გადაეცემა მხოლოდ ერთი მედალი, ხოლო გუნდის წევრებს დიპლომები ეძლევათ. ასე დააჯილდოებენ ტანვარჯიშში, ცხენოსნობასა და თანამედროვე ხუთჭიდში საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს.

სულ მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში გათამაშდება პირადი და გუნდური მედლების 198 კომპლექტი.

სურათზე: ოლიმპიური მედლის ორი მხარე.

აპ-საკდესის ტელეფოტო.

Montréal
1976

„ვარჯიშობენ"... ჟურნალისტები

ნიუ იორკი, 15 ივლისი. (საკდესის კორ. ნ. შარცე). ვიდრე ოლიმპიადა დაიწყებოდეს და „ნამდვილი მუშაობის" ხანა დადგებოდეს, ჟურნალისტები არა მარტო მზადების ბოლო ეტაპის შესახებ წერენ, არამედ თავიანთი ანგარიშებისთვის სხვადასხვა დამატებით ინფორმაციასაც ეძებენ, „ვარჯიშობენ", თავისებურ „მოთელვას" გადიან.

მაგალითად, ჟურნალისტები წერენ „უიღბლობის თეორიაზე", რომელიც გრძელ მანძილებზე მორბენალს, ეთიოპიელ მირსუს იფტერს ეხება. არქივებში ძიებამ დაადასტურა, რომ იფტერმა 5 და 10 კილომეტრზე რბენაში მედლების ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, ერთხელ წააგო 5 კილომეტრზე შეჯიბრება, რომელსაც აშკარა უპირატესობით იგებდა, რადგან ანგარიში შეეშალა და ფინიშამდე ერთი წრით ადრე გაჩერდა. ამ დროს მას უკვე გამარჯვებულად მიაჩნდა თავი და მილოცვების მისაღებადაც მზად იყო. მიუნხენში იფტერს კიდევ ერთხელ მოეცარა ხელი: რაკი უცხო ენა არ იცოდა, ვერ გაიგო, რა გამოაცხადეს სტადიონზე და თავისი გარბენი გამოტოვა. ოლიმპიურ თამაშებში კი, დაგვიანებულებს, როგორც ცნობილია, არ უცდიან.

ოლიმპიადა, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა ახალგაზრდობის ფესტივალია, მაგრამ გუნდებში ვეტერანებიც არიან. მათ შორის რეკორდსმენია ავსტრალიელი ცხენოსანი ბილ როიკროფტი. იგი 61 წლისაა და მონრეალის თამაშები მისთვის მეხუთე ოლიმპიადა იქნება.

1968 და 1972 წლების ოლიმპიადების ჩემპიონი როლანდ მათესი (გდრ) ცურვაში არანაკლებ ცნობილია, ვიდრე, ვთქვათ, ვალერი ბორზოვი მძლეოსნობაში. 25 წლის მათესი მიუწვდომელი იყო გულაღმა ცურვაში, მაგრამ 1974 წელს, პირველად 7 წლის მანძილზე, მარცხის სიმწარე იწვნია. მას აშშ — გდრ-ის სამატჩო შეხვედრაში აჯობა ჯონ ნაბერმა. მეტოქენი მონრეალში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. როგორც ჟურნალი „ტაიმი" წერს, „ცურვის 26 სახეობიდან ალბათ არც ერთი არ მიიქცევს სპეციალისტთა და სპორტის მოყვარულთა იმდენ ყურადღებას, რამდენსაც 100 მეტრზე გულაღმა შეჯიბრება".

როგორც ჟურნალი „სპორტს ილიუსტრეიტედი" წერს, მათესმა ახლახან გამოაცხადა, რომ ცოლად ირთავს გდრ-ის სახელგანთქმულ სპორტსმენს კორნელია ენდერს. ჟურნალი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ამ სპორტსმენებმა ერთად უკვე 43-ჯერ გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები.

...მონრეალის თამაშებზე კომენტატორთა შორის იქნება ბევრი წარსულში ცნობილი სპორტსმენი, მაგალითად, სახელგანთქმული ჭოკით მხტომელი ბობ სიგრენი, ოლიმპიური ჩემპიონები ვაიომიია ტაიესი (100 მეტრზე რბენა), მარკ სპიტცი და დონა დე ვერონა (ცურვა), მიკი კინგი (წყალში ხტომა). კალათბურთელთა შეჯიბრებას გააშუქებს წარსულში ცნობილი პროფესიონალი მოთამაშე ბილ რასელი.

ჩემპიონთა ბედი

— მე აღარასოდეს გამოვიდოდი შეჯიბრებებში ამერიკის ღირსების დასაცავად, — განუცხადა ადნ-ის სააგენტოს კორესპონდენტს 1960 წლის რომის ოლიმპიადის სამი ოქროს მედლის მფლობელმა ვილმა რუდოლფმა.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მას უწოდებდნენ „შავ ქურციკს", იყო მიჩნეული წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად, მაგრამ ახლა „დავიწყებულ" ათლეტთა რიცხვს ეკუთვნის. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო ტელეგადაცემათა ციკლი გამოჩენილ სპორტსმენებზე, მაგრამ მაყურებლებმა ვილმა ვერ იხილეს. რუდოლფი უკვე არ ითვლება „მნიშვნელოვან პერსონად" — მას არა აქვს კანის ის ფერი, რომელიც საჭიროა.

რუდოლფმა დიდება და ღირსება მოუპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს, შემდეგ კი იგი მოიშორეს, როგორც გამოყენებული „საღეჭი რეზინი" — ეს სიტყვები ოლიმპიური ჩემპიონის ბედზე დაწერა დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „დი ველტმა".

აი, რას ამბობს თვით ვ. რუდოლფი: „ჩვენთვის არ არსებობს სამართლიანობა. მე აღარასოდეს გამოვიდოდი სარბენ ბილიკზე და არ მოვიპოვებდი მედლებს ამ ქვეყნისთვის". რუდოლფი იბრძვის ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ამიტომაა, რომ მის სახელს ახლა მხოლოდ ჟურნალისტურ ცნობარებში თუ პოულობენ.

სურათზე: რომის 1960 წლის ოლიმპიური თამაშები. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) — ჯ. ჰაიმენი (დიდი ბრიტანეთი, ვერცხლი), ვ. რუდოლფი (აშშ, ოქრო), ჯ. ლეონე (იტალია, ბრინჯაო).

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

ჩემპიონი და ხუთი პრიზიორი

ვ. ბიბილაშვილი.

თ. კარიაული.

პ. ჯავახიშვილი.

ლვოვიდან დაბრუნდა და რედაქციას ეწვია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ძიდაობაში, სპორტის ოსტატი ი. იმერლიშვილი, რომელმაც ჩვენს კორესპონდენტს უამბო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს ძიუდოისტთა ასპარეზობის შედეგებზე. ვაქვეყნებთ მის ნაამბობს.

ტურნირი სამ დღეს გაგრძელდა. სპორტსმენები ყველა წონაში ორ ჯგუფად დაიყვნენ. ჯგუფებში უძლიერესნი ერთმანეთს ფინალში ხვდებოდნენ.

საქართველოს კოლექტივი ასპარეზობაში იმის მტკიცე რწმენით ჩავა, რომ გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ საპრიზო ადგილისთვის უნდა ებრძოლა. აქ სტარტამდე ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ცნობილი ოსტატები და მწვრთნელები ა. კიკნაძე, ბ. მაჩიაშვილი, ა. მარტყოფლიშვილი, ო. ნათელაშვილი, რომლებიც ნაკრების მწვრთნელს ნ. ნინიაშვილს მხარში ამოუდგნენ.

იმედი გამართლდა. საქართველოს ძიუდოისტებმა საერთო გუნდური II ადგილი მოიპოვეს. ისინი მხოლოდ რსფსრ-ს ნაკრებ კოლექტივს ჩამორჩნენ. III ადგილზეა მოლდავეთის მოსწავლეთა კოლექტივი.

ჩვენმა სპორტსმენებმა პირად პირველობაში ყველაზე დიდ წარმატებას მძიმე წონაში მიაღწიეს. აქ ორი ათლეტი გამოდიოდა. ნ. ნუგზარიშვილი, რომელსაც 18 წელი 13 ივლისს შეუსრულდა, „ა“ ჯგუფში მოხვდა. იგი კასპის რაიონის მეტეხის საშუალო სკოლის მეათეკლასელი მოსწავლეა და გამოცდილი მწვრთნელის ლ. კაციაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. აქამდე ნუგზარიშვილი თანატოლთა შორის ორჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, ერთხელ — ძიუდოში, ერთხელაც — სამბოში. ლვოვში ფინალამდე მან ვარდ-ყვავილებით მოფენილი გზა როდი განვლო. მართალია, პირველ და მეორე ტურებში ნუგზარიშვილმა წმინდად მოუგო ჩერიაშკასა (ლიტვა) და მოროზოვს (უზბეკეთი), მაგრამ შემდეგ მოლდაველ კარლატიანუსთან შეხვედრაში ქულებით გამარჯვებას დასჯერდა, მეოთხე წრეში სნეგავოი (რსფსრ) წმინდად დაამარცხა და ფინალში გორის № 3 საშუალო სკოლის მეათეკლასელი მოსწავლის თ. დონგუზაშვილის პირისპირ დადგა. დონგუზაშვილი აქამდე „ბ“ ჯგუფიდან მოვიდა.

აღსანიშნავია, რომ გ. პაპიტაშვილის ამ მოწაფემ (იგი ევროპის შარშანდელი ჩემპიონია) მანამდე წმინდად სძლია ყველა მეტოქეს — ფიოდოროვს (უზბეკეთი), დეინისს (ლენინგრადი), პარტენკოს (რსფსრ) და მიასკოვსკის (მოლდავეთი).

თანაგუნდელების დუელი უაღრესად დაძაბული გამოდგა. იგი ნუგზარიშვილმა ქულებით მოიგო. დონგუზაშვილი II ადგილზე გავიდა.

საქართველოს სპორტსმენებმა კიდევ სამი საპრიზო ადგილი მოიპოვეს: 65 კგ წონით კატეგორიაში თბილისის 140-ე სკოლის მოსწავლემ თ. კარიაულმა სენიკის (უკრაინა) დამარცხების მერე ლარინთან (რსფსრ) წააგო, მაგრამ შემდეგში სანუგეშო შეხვედრებში ჯერ ორლოვს (ყირგიზეთი) მოუგო, მერე — ყურბანოვს (თურქმენეთი), ბოლოს — კაპლანს (უზბეკეთი) და III ადგილი დაიკავა. ბევრს ველოდით ლენტეხელი გ. გუგავასგან, მაგრამ ნიზამოვთან (რსფსრ) პირველივე შეხვედრაში მან მხარი იტკინა.

58 კგ წონით კატეგორიაში დაახლოებით ასეთივე გზა განვლო ვ. ბიბილაშვილმა (გორის რაიონის სოფელი კარალეთი), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მან მეოთხე წრეში წააგო იუზუკოვთან (ყირგიზეთი), მანამდე კი სძლია ბუჟაკს (მოლდავეთი), საველიევს (ლატვია), ოგანიანს (სომხეთი). სანუგეშო ჯგუფში მან ტოლევის (ტაჯიკეთი) დამარცხებით ბრინჯაოს მედალი მიიღო.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა ი. ბარნაბიშვილს (კასპი, სასირეთის საშუალო სკოლა), რომელიც სპარტაკიადას მეორე ტურში გამოეთიშა.

III ადგილი მოიპოვა გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატის მოსწავლემ პ. ჯავახიშვილმა (85 კგ). ჯავახიშვილმა თავდაპირველად ტაჯიკეთის წარმომადგენელი კაიზიევი დაამარცხა კარგი სტილით, მერე ასევე ბრწყინვალედ მოუგო უზბეკ გულიამოვს, მაგრამ მესამე წრეში ევროპის შარშანდელ ჩემპიონთან კარლოვთან (რსფსრ) მცირე უპირატესობით წააგო და დაელოდა იმას, თუ მისი მომრევი ტურნირს როგორ გააგრძელებდა. კარლოვმა იმედი გაუმართლა, ჯავახიშვილი სანუგეშო ტურნირში ჩავა და დარჩენილი ორი შეხვედრა მოსკოველ გულიევთან და ყირგიზ ახმედოვთან თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

ამ წონაში ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე შ. მაჭავარიანიც გამოდიოდა, მაგრამ პირველივე შეხვედრაში დამარცხდა ალიევთან (აზერბაიჯანი).

75 კგ წონაში საქართველოს სპორტსმენებმა ნ. მუხიაშვილმა (გლდანის საშუალო სკოლა) და დ. ჯანგირაშვილმა (თბილისის 134-ე სკოლა) კოლექტივს ვერაფერი არგეს. მართალია, ჯანგირაშვილი წილისყრის მსხვერპლი გახდა (თავდაპირველად წყვილებში მოსახვედრად ზედმეტი შეხვედრა ჩაატარა და მოუგო უზბეკეთის წარმომადგენელ ისაევს. წესით მას ერთი წრე უნდა დაესვენა, მაგრამ ასე არ მოხდა და რამდენიმე წუთის შემდეგ სარბიელზე ხელახლა გასულმა მარცხი იწვნია). მუხიაშვილმა, რომელიც „ბ“ ჯგუფში გამოდიოდა, თავიდანვე წააგო მოსკოველ ერმაკოვთან.

საქართველოს ძიუდოისტებმა ტურნირი დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს, რაც იქვე, ტურნირის დამთავრებისთანავე აღნიშნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ნ. ფოფხაძემ. მან გუნდის ყველა მწვრთნელს მადლობა გამოუცხადა. სხვათა შორის, მოსწავლეთა წლევანდელ სპარტაკიადაში ასეთი წარმატება ჯერჯერობით საქართველოს არც ერთ გუნდს არ მოუპოვებია.

ტურნირი დამთავრდა

კიშინიოვი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტების გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

ამრიგად, I ადგილი წილად ხვდათ კიშინიოველებს, ხოლო II — თბილისელებს. მომდევნო ადგილებზე არიან ლვოვისა და სოხუმის გუნდები.

ვადები დადგინდა

მსოფლიოს პირველობა ფარიკაობაში ვაჟთა და ქალთა შორის 1977 წელს გაიმართება ბუენოს-აირესში, ხოლო იუნიორებისთვის (20 წლამდე) — ასევე გაისად, 6-დან 11 აპრილამდე ვენაში. ასე გადაწყვიტა პარიზში მოფარიკავეთა მსოფლიო ფედერაციის კონგრესმა.

დასანანი მარცხი

ლვოვი, 16 ივლისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ასპარეზობის ორგანიზაციის ესოდენ მაღალი დონე, რაც მასპინძელთა დიდი დამსახურებაა, მოსწავლეთა სპარტაკიადების ისტორიას არ ახსოვს (თუ კვეხნაში არ ჩამოგვერთმევა, თბილისის სპარტაკიადის შემდეგ). ყოველი ლვოველი პირად ღირსებად თვლის მოასპარეზეთა მასპინძლობაში წვლილის შეტანას. შეფები გვერდიდან არ სცილდებიან სტუმრებს. მრავალი შეფი ჰყავს ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციას. ქომაგობა ჩვენებს არც სპორტულ ბაზებზე აკლიათ.

...ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელი ჭაბუკები ფინალში შეხვდნენ ლატვიის ძლიერ კოლექტივს და დაამარცხეს ანგარიშით 56:50 (31:32). გუშინ ჩვენები ლენინგრადელებს ეთამაშნენ. ბრძოლა მეტად პრინციპული იყო. საქართველოს წარმომადგენლებმა ტაიმი წააგეს (32:38), მაგრამ შესვენების შემდეგ შესანიშნავადააწყვეს თამაში და, როცა მატჩის დამთავრებას 6 წუთი აკლდა, 2 ქულით დაწინაურდნენ კიდეც. საბოლოოდ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დასანანი მარცხი იწვნიეს — 74:80. ორივე მატჩი საუცხოოდ ითამაშა თითქმის ყველა კალათბურთელმა, მაგრამ მაინც უნდა გამოვყოთ სასტარტო ხუთეული — ზ. გრძელიძე, კ. ლომიძე, შ. სინჯარაძე, რ. გარუჩავა, ა. ჩხიკვიშვილი. ლენინგრადელებთან მატჩში გუნდის კაპიტანმა გრძელიძემ მიუხედავად იმისა, რომ შეუძლოდ იყო, 26 ქულა მოუტანა კოლექტივს. სამწუხაროდ, ჩვენი კალათბურთელი გოგონები კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად, ესტონეთის გუნდთან — 66:69. მანამდე კი მათ მოუგეს აზერბაიჯანელებს — 45:40.

გუშინწინდელ შეხვედრაში ესტონელებთან ჩვენმა ფრენბურთელმა ვაჟებმა პირველი ხელი წააგეს (10:15), მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. გოგონები ისვენებდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკი ხელბურთელები ფინალში ვერ მოხვდნენ. ბოლო შეხვედრა ქვეჯგუფში მათ წააგეს უკრაინელებთან — 12:33. ვერც გოგონები გავიდნენ ფინალურ ექვსეულში, მაგრამ მათი მდგომარეობა VII ადგილისთვის ბრძოლაში გაცილებით უკეთესია, ვინაიდან დაამარცხეს ამ ადგილის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი, ლენინგრადის კოლექტივი — 19:16.

წყალბურთელებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან. პირველ ტურში მათ დაამარცხეს ლენინგრადელები (5:3), ხოლო შემდეგ წააგეს სომხეთის კოლექტივთან (4:7).

ბედმა არც ფეხბურთელებს გაუღიმა. VII-XII ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში ისინი აზერბაიჯანელებს შეხვდნენ და ფრედ (2:2) ითამაშეს. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის მიწურულს მათ ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

ასპარეზობაში ჩაებნენ მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლები და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. ტანმოვარჯიშეები წინა სპარტაკიადაში დაკავებული ადგილების მიხედვით ასპარეზობენ. ვინაიდან წინა სპარტაკიადაში საქართველო არ მონაწილეობდა, ამიტომ ახლა ჩვენები ეგრეთ წოდებულ „პირველ ცვლაში“ (სუსტ კოლექტივებში) გამოდიოდნენ. [illegible] დღის სავალდებულო პროგრამის შემდეგ საქართველოს ნაკრები IV ადგილზე აღმოჩნდა — 41,2 ქულა. ლიდერობს უზბეკეთის კოლექტივი — 42,3. მომდევნო ადგილებზე არიან ესტონეთი (41,95) და ლიტვა (41,3).

თავისუფალი სტილის 11 მოჭიდავიდან პირველი წრის შემდეგ ბრძოლას შვიდი განაგრძობს. ესენი არიან კასპელები გ. კაციაშვილი (52 კგ) და თ. გაბოძე (70), ტყვარჩელელები ა. ვორონცოვი (65) და ზ. ქუჩუბერია (75), გუდაუთელი ს. ზარანდია (87), თბილისელი ნ. ბეკურიშვილი (მძიმე) და ორჯონიკიძელი გ. თხელიძე (65, ამ წონაში ჩვენი რესპუბლიკიდან ორი მოჭიდავე გამოდის).

მოჭადრაკეთა ფინალის პირველ ტურში ჩვენები მოსკოველებს შეხვდნენ. ანგარიშია 3,5:2,5 (ორი პარტია გადადებულია). ზ. სტურუამ დაამარცხა ა. იუსუპოვი, მ. ჩიბურდანიძემ, რომელიც ჭაბუკთა დაფაზე თამაშობს, 26 სვლაში შავებით დაამარცხა ო. ფრენკელი, ნ. გურიელმა—ტ. მინოგინა. ყაიმით დამთავრდა გ. გრძელიშვილ — ს. კონსტანტინსკის შეხვედრა, ი. ეფიმოვმა წააგო ლ. იურტაევთან, ხოლო გ. ხაილენკომ — ვ. სოკოლოვთან. მეორე ტურში ჩვენები რსფსრ-ს გუნდს შეხვდნენ და დამარცხდნენ — 2,5:4,5 (1 პარტია გადადებულია). ეფიმოვმა მოუგო რ. გაბდრახმანოვს. ყაიმით დამთავრდა იოსელიან — კ. მაკაროვას, სტურუა — ა. ხარიტონოვისა და ჩიბურდანიძე — ა. კაიდანოვის შეხვედრები. ზ. აზმაიფარაშვილი დამარცხდა ს. დვოირისთან, გურიელი — ე. სტუპინასთან, გრძელიშვილი — გ. ფომინიხთან. გადაიდო ხაილენკო — ო. მოისეევის შეხვედრა.

თ. გაჩეჩილაძე,
დ. ჰელიძე.

ტელეფონით

წარუმატებლობა შავი ფიგურებით

ამსტერდამში (ჰოლანდია) გრძელდება ოსტატ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილიც მონაწილეობს. გუშინ „ლელოს“ კორესპონდენტი ტელეფონით ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონს ამსტერდამში.

— შეჯიბრებაში გათამაშდა კიდევ ორი ტური — მეექვსე და მეშვიდე, — თქვა ნონამ. — სამწუხაროა, შავი ფიგურებით თამაში არ გამომდის წაგვგე მეექვსე ტურშიც, ამჯერად ამერიკელ მაკერისთან. თეთრებით, რომლებითაც მეშვიდე ტურში ავსტრიელ ვუუდჰამსს ვეთამაშებოდი, კვლავ მოვიგე.

საანგარიშო ტურებში კარგად ითამაშა რუმინელმა ჩოკილტიამ. მან ჯერ ჰარტოხს (ჰოლანდია) მოუგო, მერე — ვესტერველდს (ავსტრია). პირველი გამარჯვება იზეიმა ინდონეზიელმა სუჰუნმა, რომელმაც სტარტის ლიდერს ვან ბაარლეს (ჰოლანდია) მოუგო.

გთავაზობთ დანარჩენ შედეგებს. მეექვსე ტური. ვუუდჰამსი — სუხუნი 0,5:0,5, ესინგი (გფრ) — ვან ვინ გარდენი (ჰოლანდია) 0:1, ფიბლი (ჩეხოსლოვაკია) — ტატაი (იტალია) 0:1. ვან ბაარლე — ვესტერველდის (ავსტრია) პარტია გადაიდო. მეშვიდე ტური. ტატაი — მაკერი 0,5:0,5, ვან ვინ გარდენი — ფიბლი, ჰარტოხი — ესინგი 0,5:0,5.

7 ტურის შემდეგ ტატაის 5,5 ქულა აქვს, ვან ვინ გარდენს, ჰარტოხს — 4,5-4,5, ჩოკილტიას, მაკერის — 4-4, ესინგს, ფიბლისა და მე — 3,5-3,5.

მწვავედ მიმდინარეობს ბრძოლა დიდოსტატთა ტურნირში. 8 ტურის შემდეგ ვ. კორჩნოის 5,5 ქულა აქვს, აივარ გიპსლისს — 4.

ლიდერთა ტრიუმვირატი

ბილის (შვეიცარია) საზონათშორისო ტურნირში გაიმართა III ტურის შეხვედრები. ორ პარტიაში კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა დიდოსტატები. ვ. სმისლოვმა მოუგო მ. ტალს, ტ. პეტროსიანი და ბ. გულკო დაზავდნენ. ე. გელერმა გადადო პარტია ლ. პორტიშთან (უნგრეთი).

ა. ლომბარდმა (შვეიცარია) სძლია ი. ჩომს (უნგრეთი), ი. სმეიკალმა (ჩეხოსლოვაკია) — ი. დიასს (კუბა). დაზავდნენ: კ. როგოფი (აშშ) — ბ. ლარსენი (დანია), უ. ანდერსონი (შვეცია) — ვ. ლიბერზონი (ისრაელი), გ. სოსონკო (ჰოლანდია) — ო. კასტრო (კოლუმბია), რ. ჰიუბნერი (გფრ) — რ. ბირნი (აშშ) და რ. სანგინეტი (არგენტინა) — ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია).

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს სმისლოვმა მოუგო როგოფს, ლარსენმა — დიასს. გელერი დანებდა პორტიშსა და გულკოს. ლიბერზონმა დაამარცხა ლომბარდი. სმეიკალი და ბირნი ყაიმზე შეთანხმდნენ. მეორედ გადაიდო კასტრო — ანდერსონის პარტია.

IV ტურში სმისლოვი დაუზავდა პორტიშს, პეტროსიანი — ტალს. ჰიუბნერმა მოუგო დიასს, ჩომმა — ანდერსონს. სხვა პარტიები გადაიდო.

4 ტურის შემდეგ ვ. სმისლოვს, ლ. პორტიშს, რ. ჰიუბნერს 3-3 ქულა აქვთ, ბ. ლარსენს — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტ. პეტროსიანს — 2,5.

კარპოვი — ტორე 0:1

მანილაში, ოთხი დიდოსტატის მატჩ-ტურნირში პირველი სენსაცია მოხდა: II ტურში მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის მძაფრად მიმდინარე შეხვედრა ფილიპინელ დიდოსტატ ე. ტორესთან 48-ე სვლის შემდეგ გადაიდო. როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონის პოზიცია უიმედო იყო. მეორე დღეს მან პარტია თამაშის განუახლებლად დათმო.

ყაიმით დამთავრდა უ. ბრაუნ (აშშ) — ლ. ლიუბოევიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა.

2 ტურის შემდეგ ტორეს 1,5 ქულა აქვს, ბრაუნს, ლიუბოევიჩს — 1-1.

ყველაზე პოპულარული სახეობები

იუნესკომ — გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ ამას წინათ გამოაქვეყნა ცნობები 1975 წლის მიხედვით სპორტის ყველაზე პოპულარული 50 სახეობის შესახებ.

აი, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობები (ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია სპორტსმენთა რაოდენობა მილიონებში, ფრჩხილებში — სპორტის მოცემული სახეობის მიმდევარი ქვეყნების ცხრილი): კალათბურთი — 65,5 (127), ფრენბურთი — 65 (108), ფეხბურთი — 55 (142), სროლა — 30 (95), თევზჭერა — 25 (30), მაგიდის ჩოგბურთი — 23 (99), მძლეოსნობა — 20 (144), გოლფი — 15,3 (65), ცურვა — 11 (100), ჩოგბურთი — 10,5 (92), სათხილამურო სპორტი — 8 (48), ძიუდო — 7 (80), ბეისბოლი — 4,9 (40), კეგლი — 4,5 (42), ძალოსნობა — 4,5 (94), ჭიდაობა — 4,3 (91), ტანვარჯიში — 4,2 (63), ჭადრაკი — 4 (70), საცხენოსნო სპორტი — 3,7 (60), საიალქნო სპორტი — 3,2 (60), წყალსამოტორო სპორტი — 3,1 (45), ავტოსპორტი — 3 (80), მოტოსპორტი — 3 (42), კრივი — 2,9 (118), საველოსიპედო სპორტი — 2,8 (109), ბალახის ჰოკეი — 2,8 (60), ხელბურთი — 2,5 (50), ავიასპორტი — 2 (78), ფარიკაობა — 1,78 (75), მშვილდოსნობა — 1,3 (50).

საინტერესოა, რომ სპორტის ყველაზე პოპულარულ 50 სახეობაში ვერ მოხვდა შაში.

რეკორდები

ოდესა, 15 ივლისი. შეიარაღებული ძალების იუნიორთა საკავშირო პირველობაში უკონკურსოდ მოასპარეზე როსტოველმა ს. პევზნერმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა მსუბუქი წონის ძალოსნებისთვის ორჭიდში — 315 კგ (135+180). უწინდელი რეკორდი ეკუთვნოდა მოსკოველ მ. კირეინოვს და 2,5 კილოგრამით ნაკლები იყო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 08954